

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია/Biology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის დოქტორი/Doctor of Biology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	დავით ბარათაშვილი, პროფესორი, ელ.ფოსტა: baratashvili.daviti@bsu.edu.ge ქეთევან დოლიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: dolidze.qetevani@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოდული, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ გასაუბრება/გამოცდა სპეციალობაში; ✓ გამოცდა ინგლისურ ენაში - B2 დონე; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ ბიოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შექმნა, რაც კურსდამთავრებულს მთლიანობაში მისი სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს; უმაღლესი სკოლის პედაგოგისათვის აუცილებელი კომპეტენციების შექმნა; ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიციური, ინოვაციური მეცნიერული კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების, ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავება, რაც შეიძლება აისახოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონის მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში და სამეცნიერო კონფერენციებში; ✓ უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკულ-გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის უნარის მქონე მკვლევარისა და პედაგოგის მომზადება.

სწავლის შედეგები

- ✓ ბიოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს; ასევე, ცოდნა განათლების სფეროში არსებული სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ; უახლესი თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეძლებს მეცნიერული შედეგებისა და განზოგადებების გაანალიზებას, გაცნობიერებას და საჭირო შემთხვევაში კრიტიკულად გადაფასებას;
- ✓ მეცნიერული ცოდნის საფუძველზე შეძლებს ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად დაგეგმოს კვალიფიციური ინოვაციური მეცნიერული კვლევა, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი თუ ანალიტიკური მეთოდები, მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება კვლევის პროცესში რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის, რაც შეიძლება აისახოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონის მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში და სამეცნიერო კონფერენციებში;
- ✓ როგორც პედაგოგს, ექნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები;
- ✓ შეძლებს მკაფიოდ და დასაბუთებულად წარმოაჩინოს კვლევის შედეგები ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან და ჩაერთოს თემატურ დისკუსიებში;
- ✓ როგორც მკვლევარს, ექნება ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებისა და შემუშავების, სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის უნარი პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

